პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-------

ქ. ოზურგეთი -- იანვარი 2023 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილების მე-15 მუხლის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

დანართი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესი“ (შემდგომში-„წესი“) განსაზღვრავს, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებულ სტუდენტებზე (ბაკალავრი) სტიპენდიის გაცემის პირობებსა და წესს.

2. წესის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით.

3. დაფინანსება ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის (კოდი 04 03 01) ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულება** – „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბ) **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრონომიულ, ვეტერინარული, არქიტექტურულ და ენერგეტიკულ ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად და განცხადების შემოტანის მომენტისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში;

გ) **წარჩინებული სტუდენტი** – სტუდენტი, რომელსაც სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 95 ქულა;

დ) **სტიპენდია** – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ოზურგეთის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმატებული სტუდენტისათვის გაცემული ფულადი თანხა;

ე) **აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი**, რომელსაც გავლილი აქვს ადმინისტრაციული რეგისტრაცია და /ან არ აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი სხვა საფუძვლით.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემის ადმინისტრირება

სტიპენდიის გაცემის ადმინისტრირებას ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში – სამსახური), სტუდენტის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ამ წესით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. წარჩინებული სტუდენტებისათვის გასაცემად აუცილებელი კრიტერიუმები და პირობები

1. სტიპენდია შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) განცხადების შემოტანის მომენტისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში;

გ) არის აგრონომიულ, ვეტერინარული, არქიტექტურულ, ენერგეტიკულ ფაკულტეტებზე ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;

დ) სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 95 ქულა;

ე) აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო შემოქმედებით, ტექნიკურ, სპორტულ აქტივობებში.

ვ) აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

2. სტიპენდიის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო რეკვიზიტები;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ;

დ) საინფორმაციო ბარათი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ.

3. სტიპენდიის ოდენობა ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 500 ლარს (625 დარიცხული)

4. სტუდენტს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი

მუხლი 5. სტიპენდიის გაცემა

1. წარმატებულ სტუდენტს სტიპენდია გადაერიცხება წარმოდგენილ საბანკო ანგარიშის ნომერზე;

2. სტიპენდია გაიცემა სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში სალექციო კურსის წინა სემესტრის ქულების გათვალისწინებით.

მუხლი 6. გადაწყვეტილების მომზადება და მიღება

1. სამსახური სტიპენდიის გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-VI თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სტიპენდიის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის/მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 7. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“-
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის შემუშავება განპირობებულია შემდეგი გარემოებების გამო:

პროექტით დგინდება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესი. პროექტი განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარჩინებულ სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემის პრინციპებს და პირობებს, ასევე სტიპენდიის დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას/სამსახურს.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესი, რომელი სტუდენტებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრონომიულ, ვეტერინარული, არქიტექტურული, ენერგეტიკულ ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას, ზოგად დებულებას, ძირითად დებულებებს, მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება.

2. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორია:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

4. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის ----------.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის (კურატორი) მოადგილე.